ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2024 წლის 26 იანვარი

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №53 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №53 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 010250040.35.139.016443, 01/03/2022) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის – ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ’ ქვეპუნქტი:

„ნ) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106^1 მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის/პირების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენა და შეფასება, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს საკრებულოში ელექტრონულად წელიწადში ერთხელ მაინც.“;

ბ) მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარების, მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროსა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალურ პროგრამათა დამტკიცება; ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების ხელშემწყობი მუნიციპალურ პროგრამათა დამტკიცება;“;

გ) მე-8 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დახმარების, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცება;“;

დ) მე-12 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ და „ვ“ პუნქტები:

„ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ვ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ დასახლებაში ავტოსადგურის არარსებობის შემთხვევაში შესაბამისი ნორმატიული აქტით იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრა, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა;“;

ე) ამოღებულ იქნეს მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი;

ვ) მე-15 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაამტკიცოს სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო კოოპერაციის) მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამები;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. ამ დადგენილების პირველი მუხლის „დ“ პუნქტი ამოქმედდეს 2024 წლის 1 მარტიდან.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**